№ 28 თებერვალი 6, სამშაბათი 1890 თებერვალი 6, სამშაბათი № 28

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

• ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“-კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაწკედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 6 თებერვალს,

ბენეფისი

ნ. მ. გაბუნიასი.

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**დავიდარაბა**

კომედ. 3 მოქმედ. გად. ერისთავისა

II

პირველად

მე მინდა კნეინა გავხდე

ფარსი-კომედია 2 მოქმედებად თხზ. ზ. ანტონოვისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვისა, მელიქიშვილისა, ჩერქეზიშვილსა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გუნია, ცაგარელი, გედევანიშვილი და სხვანი.

დასაწყისი 8 საათზედ.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნს დავით ერისთავს დაუწერია ახალი ოთხმოქმედებიანი კომედია „საზოგადო საქმე“. ავტორს განზრახვა აქვს ეს ახალი პიესა ნაადგომევს წარმოადგენინოს ჩვენს ქართულს სათეატრო დასს.

*** როგორც გვითხრეს, ქართულის ენის ცენზორს გაუსინჯავს ბ-ნ ავ. ცაგარლის ახალი დრამა „ქართველი დედა“ და ნება დაურთავს წარმოსადგენად. ამ ახალის პიესის წარმოდგენას აპირობენ ნაადგომევს.

*** დღეს, 6 თებერვალს, დანიშნულია ბენეფისი ჩვენის არტისტის ქალის ნ. გაბუნია-ცაგარლისა.

*** ქართულის საეკკლესიო გალობის მოყვარულნი კვლავ უჩივიან ტფილისის სასულიერო სემინარიის მგალობელთა ლოტბარს, რომელიც კარბელაანთ გალობის კილოს არა სჯერდება და თავისებურად სცვლის ამ კილოს, ისე რომ გალობა ხოროსი სრულიად სხვა თვისებისა და ხასიათისა გამოდისო. ბ-ნს ლოტბარს შეუთხზავს ახალი უფალო შეგვიწყალენი, რომელიც უფრო საერო სიმღერას ჰგავს, ვიდრე საეკკლესიო გალობის ხმასაო. საკვირველია, რა უნდა იყოს მიზეზი, რომ ბ-ნი ლოტბარი ასე უცვლის კილოსა და ხასიათს ალმოსავლეთ საქართველოში ისე გავრცელებულსა და უკვე დამკვიდრებულს გალობას.

*** კვირას, 4 თებერვალს, „ქალაქის სკოლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ კომიტეტს კრება ჰქონდა. კომიტეტმა შეიწყნარა რამდენიმე სათხოვარი ქალაქის სკოლების ღარიბ მოსწავლეთა და დაადგინა დაურიგდეს იმათ ოთხი თუმანი: 14 მან. სახელოსნო სკოლის მოსწავლეთა და 26 მან. პირველ-დაწყებით სკოლებისას. წლიური მორიგი კრება საზოგადოებისა მოწვეული იქნება მარტის 4-ს. კრებამ უნდა აირჩიოს თავმჯდომარე კომიტეტისა და სეკრეტრის თავ. პ. არღუთინსკისა, ხაზინადარ ი. მუთაფოვისა და კომიტეტის წევრის ე. ფულინოვის მოადგილენი, რომელთაც კენჭის ყრით კომიტეტიდამ გამოსვლა ერგოთ.

*** ყაზანის უნივერსიტეტის ყოველ თთვიურ ჟურნალის „Ученыя записки“-ს ამ წლის პირველს №-ში, სხვათა შორის, მოყვანილია ცნობანი ხსენებულ უნივერსიტეტის ყველა პროფესორს შესახებ და მათ შორის მანასეინის შესახებაც, იმ მანასეინისა, რომელიც 1819—1827 წწ. განაგებდა „კავკასიის გუბერნიის“ ჩრდილოეთ ნაწილის სკოლებს. მანასეინი იყო უცხოელი, უმაღლესი განათლება მიიღო ყაზანის უნივერსიტეტში და ამავე უნივერსიტეტის ადიუნქტად დაინიშნა. ამ საუკუნის დამდეგს „კავკასიის გუბერნია“, ანუ საქართველო და ჩრდილოეთი კავკასია შეადგენდა ყაზანის უნივერსიტეტის სამოსწავლო ოლქს. 26 აპრილს 1818 წ. მანასეინმა ადიუნქტობას თავი დაანება და „კავკასიის გუბერნიაში“ წამოვიდა, რათა ხალხი დაეყოლიებინა სასწავლებელთა გასამართავად. მანასეინმა ზაფხული გაატარა კავკასიის გუბერნიაში და იმავე წლის ოქტომბერს ყაზანის ოლქის სამზრუნველოს მისწერა, რომ ადიუნქტობიდამ განმათავისუფლეთ და საქართველოს კეთილშობილ ყრმათა სასწავლებლის დირექტორად გამამწესეთო. ეს სასწავლებელი გაიმართა 1804 წელს ქართველ ყრმათათვის და სულ ხუთი კლასი იყო. გარედგან მოსიარულე მოსწავლეთა რიცხვი იყო 168. ყაზანის უნივერსიტეტის ოლქის სამზრუნველომ მანასეინის თხოვნა შეიწყნარა და საერო განათლების მინისტრს სთხოვა, რომ მანასეინი საქართველოს კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად დაამტკიცეთო. ამ თხოვნაზე ბ-ნმა მინისტრმა ყაზანის უნივერსიტეტის სამზრუნველოს მისწერა, რომ მანასეინს საქართველოს კეთილშობილთა სასწავლებლის უფროსობას ვერ მივცემთ, რადგან ქართული ენა არ იცისო.

*** კავკასიის [illegible] დოებას ყოველ წლივ საფრანგეთიდამა და სხვ. ქვეყნებიდამ მოსდის დიდძალი თესლი აბრეშუმის ჭიისა აქაურ ქვეყანაში გასავრცელებლად. წრეულს საზოგადოებამ ბლომა თესლი მიიღო საფრანგეთიდამ. თესლი უკეთესის ჯიშისაა და საღი. თესლის სყიდვის მსურველთა რიცხვი შარშან იმდენი იყო, რომ ვინც დროიანად არ მოიკითხა, იმას ბოლოს აღარაფერი შეხვდა. ამიტომ ვისაც თესლის დაბარება სურს, ეხლავე თავდარიგს უნდა შეუდგეს. როგორც შევიტყეთ, ერევნელები, აკულისელები, ნახიჩევნელები და სხ. ეხლავე ძალიან ბლომად იწერენ ჭიის თესლს, ხოლო ქართველების მხრივ-კი ჯერ ჩამი-ჩუმიც არ ისმის. ჭიის თესლის ერთი მისხალი გაგზავნით ღირს სამ აბაზად.

*** სამეურნეო საზოგადოების შარშანდელს გამოფენაზე წარმოდგენილ სანოვაგეთა და სასმელების გასყიდვით შემოსვლია 600 მანათამდე.

*** ქალაქის კასაში 1889 წლის განმავლობაში შესულა სულ 664,909 მან. და 18 კაპეიკი. ეს ფული შედგენილა შემდეგის სხვა-და-სხვა შემოსავლისაგან: ქალაქის უძრავ მამულების დასაფასებელი აულიათ 26,6364 მან. 38 კაპ. და თავის დროზედ დაუფასებლის არ-შეტანის გამო გადახდილი ჯარიმა—14,661 მან. 59 კაპ. სხვა-და-სხვა მოწმობისა და ბილეთისნების მიცემისათვის ტფილისის მოვაჭრეთაგან ქალაქს აულია 66,627 მან. 50 კაპ. ქალაქის მილის წყლის გაყიდვისა—84,908 მან. 51 კაპ. ვერისა და მნაცაკანოვის ხიდებიდგან ქალაქს ჰქონია 15,643 მან. 75 ქალაქის საყასბოებიდგან—33,418 მან. 3 კაპ., საქალაქო სახლების ქირებიდგან—12,130 მან. 16 კაპ., ქალაქის მეიდნებზე პირუტყვთა და ეტლების [illegible] 12 კაპ. და სხვა და სხვა. ამავე წლის განმავლობაში ქალაქის გამგეობას დაუხარჯავს 660,801 მან. და 9 კაპ. როგორც ჰხედავთ, ქალაქის გამგეობას დაუხარჯავს 4,108 მანეთითა და 9 კაპ. ნაკლები, ვიდრე შემოსავალი ჰქონია.

*** კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამართვისათვის ქალაქის გამგეობამ გადასცა სამეურნეო საზოგადოებას ათას ხუთასი თუმანი იმ პირობით, რომ გამოფენის გათავების შემდევ სამეურნეო საზოგადოებას უნდა დაებრუნებინა ქალაქის გამგეობისათვის თუ რაიმე მოგება დარჩებოდა. ეხლა გავიგეთ, რომ ამ ათას ხუთას თუმანს სამეურნეო საზოგადოება აღარ უბრუნებს, რადგანაც საზოგადოებას

## ფელეტონი

### ცრუ გზა

(დასასრული*)

— დღეს გვიან მოხველი სადილად, უთხრა დედამ, როდესაც შინ მივიდა: მიკვირს, როგორ დაგაგვიანა ამდენი ხანი როჯერსმა.

— არა, დედი, მე იმიტომ არ დავბადებულვარ, რომ როჯერსთან მწერლად ვიმსახურო. მე თურმე სხვა დანიშნულება მქონია.

— რას ამბობ, შვილო! იქნება როჯერსი დაგემდურა რასმე?

— აქ მიყურე, დედი, სთქვა ტომასმა და ოცი ოქრო გადმოჰყარა სტოლზე.

— ღმერთო ჩემო, ოცი ოქრო? ვინ მოგცა, შვილო?

— ბატონმა ფარლემ ჩემს წერილში, რომელმაც იმის გაზეთს ერთბაშად 100-ზე მეტი ხელის-მომწერი შესძლენა. მე ამას იქით იმის გაზეთის თანამშრომელი უნდა გავხდე და უფრო მეტს ფულს ვიშოვნი. დღეს უნდა წავიდე პასტორ კატკოტთან და მკურნალ ბარრეტთან, რომლებსაც ჩემი ახლო გაცნობა თურმე უნდათ. იმათის დახმარებით კარგად შემიძლიან სალიტერატურო ასპარეზზედ ვიშრომო. ხომ ჰხედავ, დედაჩემო, რომ გარემოება იცვალა და როდჯერსთან მწერლობა ჩემთვის საჭირო აღარ არის.

დედა გაკვირვებული უცქეროდა ოქროსა და ბევრი აღარა ჰკითხა-რა შვილს, ასე ეგონა ოქროს მადანი აქვს ნაპოვნიო.

ჩატერტონმა ხელდახელ ისადილა და როდჯერთან წავიდა. მივიდა თუ არა, მაშინვე გამოუცხადა, რომ სამსახურს თავს ვანებებო. ბევრს ეხვეწა როჯერსი, დარჩიო, მაგრამ ჩატერტონმა გადაჭრილი უარი უთხრა, ერთის კვირის ჯამაგირი მიიღო და წამოვიდა.

როდესაც ახალგაზდა პოეტი კანტორიდგან გამოვიდა, ღრმად ამოიოხრა და წაიბუტბუტა: „ძლივს ვეღირსე თავისუფლებას! ამას იქით აღარ ვიცხოვრებ ასე საწყლად და უბედურად“.

საღამოზედ პასტორ კატკოტთან წავიდა. მკურნალი ბარრეტიც იქ ყოფილიყო. ხანგრძლივს ბაასს შემდეგ ახალგაზდა ტომასთან, სწავლულმა მეგობრებმა ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს. იმათ უკვირდათ ჩატერტონის სწავლა-ცოდნა, რომელიც სულ თავისით შეეძინა, რადგანაც სკოლაში წერა-კითხვის მეტი არა ესწავლარა. ტომასმა ჩამოაგდო ლაპარაკი რობლესა და იმ ყუთზე, რომელშიაც ხელთ-ნაწერები იპოვა.

— მაშ ძველის ხიდის კურთხევა რობლე ბერის აღწერილია?

— უეჭველია, იმისი უნდა იყოს, რადგანაც იმავე ხელით არის ნაწერი, რომლითაც იმისივე სხვა ხელთ-ნაწერები. სამწუხაროდ დედანი-კი დამეწვა.

— ეგ რა ნაირად მოგივიდა?

— მე უფრო ღამე მიყვარს მუშაობა. ერთხელ ჩამეძინა და როდესაც გამოვიღვიძე, შევხედე, რომ სანთელი ჩამწვარიყო და ხელთ-ნაწერს მოსდებოდა ცეცხლი. ძლივს პატარა ნახევები-ღა გადავარჩინე.

ჩატერტონმა ამოიღო ჯიბიდგან ნაპირებ-შემომწვარი ტყავის ფურცლები, რომელზედაც კიდევ ეტყობოდა ძველის მონასტრულის ხელით ნაწერი სტრიქონები.

— კიდევ კარგი, რომ გადმოწერა მაინც მოასწარით, სთქვა მკურნალმა.

— გადმოწერა მოვასწარი, მაგრამ გადმოვაკეთე-კი, რომ უფრო გასაგები ყოფილიყო. თანაც ვცდილობდი ძველი მონასტრული თვისება წერისა არ დამერღვია და შემენარჩუნებინა აღწერისათვის.

— საკვირველია, რომ აქამდის არავინ იცოდა ეს ისტორიული ამბავი.

— ეგ იმიტომ, რომ ხელთ-ნაწერი მივარდნილი იყო მტვერსა და ნაგავში და ძლივს გამოვარჩიე. შეხედეთ, აი სახელი ავტორისა ლათინურს ხელთნაწერზე.

ჩატერტონმა აჩვენა ძველი ხელთნაწერები მე-XV საუკუნესი. იქ სხვათა შორის რობლე ბერზედაც ეწერა.

— მაშ თქვენ ლათინური ენაც იცით?

— დიაღ, მე ვიცი ეგრედ წოდებული საშუალ საუკუნეების მონასტრული ლათინური. ეს მე ჩემად შევისწავლე.

— მერე არ გაგიძნელდა?

— მიძნელდებოდა, მაგრამ მალე მაინც გავიკვეთე. ამ გვარადვე შევისწავლე ინგლისურ საქსონური და ნორმანდული ენაც.

— ისევ რობლე ბერზე ვილაპარაკოთ, სთქვა ბარრეტმა.

— იქნება იმისი ხელთ-ნაწერებიცა გქონდეთ თან?

ჩატერტონმა ჯიბიდგან რამდენიმე ხელთ-ნაწერი ამოიღო და მიაწოდა. მკურნალმა და პასტორმა ბაასი შესწყვიტეს და კითხვა დაიწყეს.

ხელთ-ნაწერებში იყო ლექსები, ბალლადები, დღესასწაულების აღწერანი, „წითელისა და თეთრის ვარდის ომის“ ისტორია და სხვა და სხვა... ყველა ეს დაწერილი იყო ძველს მონასტრულსა და რაინდულს კილოზე, ადვილად გასაგებისა და გრძნობით სავსე ენით.

*) იხ. „ივერია“ № 26.

ზარალი უნახავს გამოფენის გამართვით.

** შაბათს, 4 თებერვალს, საზაფხულო თეატრში დანიშნული იყო ბენეფისი არტისტის ქალის ზარუდნაიასა, რომელსაც სხვათა შორის ქართველობამაც მიართვა საჩუქარი—მშვენიერი ვაზა ხელ-ქმნილის ყვავილებით შემკული.

** ფოთი: ამას წინად „ივერიაში“ მოხსენებული იყო, რომ ფოთის ოთხ-კლასიანს სამოქალაქო სასწავლებელში მეგრული ენა შემოიღეს და ქართულს აღარ ასწავლიანო. ეს მართლაც ასე მოხდა. ამ სასწავლებელში თითქმის ნახევარი მოსწავლეებისა გურულ-იმერლები არიან, რომელნიც მეგრულს არა სწავლობენ, მაგრამ ამასთანავე ქართულის სწავლებასაც მოაკლდნენ.

** იქიდამვე: ინფლუენციამ ბევრი ხალხი იმსხვერპლა. იმისთანა დღე არ გაივლიდა ამას წინად, რომ სამი, ან ოთხი არ მომკვდარიყო. ეხლა-კი ეს სენი განელდა, აღარა სჩანს და სადღაც მიიმალა.

** სამტრედია: 2 თებერვალს საღამოზე აქაურის რკინის გზის ბუფეტში ქეიფობდნენ ახლო-მახლო სოფლების ყმაწვილნი კაცნი, რომელნიც უფრო თავად-აზნაურთ გვარისანი იყვნენ: კახიანები, ნანეიშვილები, მიქელაძეები და სხვ. ქეიფის დროს უსიამოვნობა ჩამოუვარდათ და ერთი აზნაურიშვილი, სახელდობრ ნანეიშვილი, მძიმედ დასჭრეს. ოთხი თითი ჰქონდა ამ ნანეიშვილს წასხეპილი და მხოლოდ ცერი შერჩენოდა. სისხლი თქრიალით სდიოდა. ამბობენ, ეს ნანეიშვილი დასჭრა თავადმა მიქელაძემაო. საზოგადოდ ამ ჩვენს სამტრედიაში მტრედებივით გული გვაქვს გახეთქილი ათასის უბედურებით. რა ავ-კაცობა გინდათ, რომ აქ არა ხდებოდეს: ქურდობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ხანჯლების ტრიალი, ჩეხა ერთმანეთისა და სხვ.

** ბათუმი: დიდს ფაცა-ფუცში არიან ბათუმელები და დაზარალებულ წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ ფულს აგროვებენ. სულ ათ თუმნამდის მოგროვილია მაგრამ გულ-უხვი ბათუმელი ქართველობა სირცხვილით ვერა ჰგზავნის ასე ცოტა ფულს, უნდათ ბლომად შეაგროვონ. სასიამოვნოა ის გარემოება, რომ ძალიან თვალ-საჩინოდ მატულობს ჩვენში ქველობა და თანაგრძნობა საზოგადო საქმისა. დიდს უნარს იჩენს ამ საქმეში ჩვენი პროვინცია. კაი ხანია ბათუმში აღარ ყოფილა ქართული წარმოდგენა და კარგს იზამდნენ, რომ აქაურები სცდილიყვნენ და ერთი წარმოდგენა მაინც მოეხერხებინათ ყველიერებში. უნდა კი ვსთქვათ, რომ ამ საქმეს ხელი შეუშალა ორმა საოპერეტო დასმა, რომელნიც დღე-გამოშვებით ჰმართავდნენ წარმოდგენას.

** იქიდამვე: ბათუმის თვით-მართველობამ გულ-უხვად დააჯილდოვა თავისი მოხელენი. საბჭოს წევრნიც უნდოდათ გაებედნიერებინათ, მაგრამ ხმოსნების უმრავლესობა არ იყო თანახმა წევრების დაჯილდოვებისა. ძალიან გონივრულადაც მოიქცნენ ხმოსნები. წევრთ კაი ჯამაგირი აქვთ და ის ფული-კი, რომელიც იმათთვის საჩუქრად უნდა მიეცათ, ქალაქის საჭიროებას რომ მოხმარდეს, ბევრად უკეთესი იქნება.

** იქიდამვე: ბათუმელ ყმაწვილ კაცობას განუზრახავს ფულების შეგროვება. ამ ფულით უნდათ შეიძინონ ქართული წიგნები. წიგნები ყველას მიეცემა უფასოდ საკითხავად. დიდი საქმეა ეს განზრახვა და ღმერთმა ჰქმნას სისრულეში მოიყვანონ და მალე განახორციელონ თავიანთი სასიამოვნო წადილი.

** თებერვლის 1-ს, ღამის ათს საათზედ, პოლიციის მეშვიდე ნაწილში, კახეთის ქუჩაზე, ნავთლუხიდამ სამს ვერსზე, შორაპნის მაზრის მცხოვრებელი იოსებ კამუშაძე ორის ამხანაგით თავს დაეცა მიმავალს მეეტლეს სერგო სარქისოვს, წაართვა ფულად ხუთი მანეთი და წყვილი ცხენი. დამნაშავე მეექვსე ნაწილის პოლიციელმა შეიპყრო და ცხენებიც პატრონს დაუბრუნა.

** 4 თებერვალს ნაშუადღევის 5 საათზე, ტფილისის მცხოვრებელმა დავით გიგოლას ძემ ქუთათელაძემ პურის მოედანზე მიმავალ ფურგუნიდამ მოიტაცა ორი ქუდი და გაიქცა.

** 3 თებერვალს, მეხუთე ნაწილის პოლიციელმა შეიპყრო სპარსეთის ქვეშევრდომი ყული ალიას შვილი და ისმაილ ნაზაროვი, რომელთაც მოპარული ხალიჩები მიჰქონდათ. ეს ხალიჩები მოეპარათ 12 იანვარს მეორე გილდის ვაჭრის თევდორე გრიგოლის ძის შაქრიშვილისაგან.

## ქართული თეატრი

რუსთაველი, ოთხ-მოქმედებიანი პიესა კ. მესხისა.

სასლთ უხუცესის რუსთაველის სახლში ვართ. მალხაზი, შოთას შეგირდი, მოსამსახურეს ელაპარაკება, რომ ჩვენს ბატონს ბევრი მტერი ჰყავსო. გამოდიან რუსთაველი და ორთელიშვილი შოთას თანაშეზრდილი. ამათ ერთად უსწავლიათ ათონში. რუსთაველი სცდილობს ალაგმოს თავ-გასულობა ერისთავთა, ათაბაგთა და დიდ კაცთა. ორთელიშვილს ეუბნება: გარდაეცი ყველას ბრძანება, რომ ამიერიდგან არც თავადსა და არც მონას ნება არა აქვს თავისით იარაღი აიღოს, თავისით ჩაერიოს ბრძოლაში. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, სასტიკად იქნება დასჯილიო. სასლთ უხუცესი ხალხის ერთობას არის მოწადინებული და დაბეჯითებით გაიძახის, რომ საქართველო დაიღუპება, თუ მეძლებურად მთელი ქვეყანა შიდ სამეფოდ იქმნა დაყოფილიო. ორთელიშვილი ჩუმად აცხადებს, რომ რუსთველის დღეები დათვლილი არის და მაგის დაღუპვისა და დამხობის საშუალება ხელთ მიჭირავსო. მალხაზი ლიპარიტ ორბელიანს შემოიყვანს. ორთელიშვილი ამბობს, რომ ამ მალხაზის ხმა, პირი-სახე ყოველთვის კანკალს მომგვრის ხოლმე, თითქოს სადღაც მენახოსო. ლიპარიტს რუსთაველის აზრები არაფრად მოსწონს და მოსულა, რომ სთხოვოს: თავი დაანებე მაგ საქმეს, ასე უდიერად ნუ ექცევი თავად-აზნაურობასაო. იმედიცა აქვს, რომ რუსთაველი შეისმენს ჩემს სიტყვას და თავის ნებით დაგვეხსნებაო. ორთელიშვილი ამბობს, რომ ფიცი დასდე, ჩვენ მოგვემხრე და ჩვენ შეგვიძლიან მაგისი დაღუპვა საიდუმლო ღონითაო. ლიპარიტი, ეს კეთილ შობილი კაცი, უარ-ჰყოფს ქურდულად, მალულად მოქმედებას და აცხადებს, რომ ლომს არა ჰხამს აგეთი საქციელიო. ორთელიშვილი მაინც ქურდულად უმზადებს სამარეს რუსთაველს და ხელშიაც რაღაც საბუთი აქვს ჩაგდებული იმის დასაღუპავად. შემდეგ ლიპარიტი და რუსთაველი ბაასობენ ერთად. ლაპარიტი ეუბნება, რომ კარგად გიცნობ უცხო ქვეყნით დაბრუნებულს, უცხო აზრები უცხო სწავლა გსურს რომ მოგვფინო, ყველაფერი გინდა დაამხო, თავადთა და მონათ შორის, შენის აზრით, არც განსხვავებაა, არც გარჩევა. დიდ-კაცობაა ჩვენის ქვეყნის სიცოცხლის ძარღვი და ვინც ამ ძარღვს შესჭრის, ის საქართველოსაც მოუღებს ბოლოსაო. რუსთაველი უპასუხებს, რომ მოსათმენი არ არის ზოგიერთ თავადის ცარცვა-გლეჯა, გულზვაობა და ხარბობა, ისინი „შურით, ლალატით, უპირობით და გამცემლობით“ გამდიდრებულან და თავისი თავი მეფეებად მიაჩნიათო. ლიპარიტი ეკითხება: ხალხს დავით სოსლანი უნდა თამარის ქმრად და შენ რად ეწინააღმდეგები ამ სურვილს ერისასაო. რუსთაველი უპასუხებს

„მარტო ქართველი საქართველოს მეფედ შეშვენის
და რად გავრბივართ, ვეხვეწებით დავით სოსლანსა?
რად გვინდა უცხო, ვინ იცნობს მას აბა თქვენგანი
ისე ბეჯითად, რომ საუნჯე, თაყვან-საცემი
ჩვენი ხელმწიფე გულ-დანდობით თან გაატანოს?!
შენც სვე რჩევით რუს-გიორგი მეფედ გაგვიხდა
და რაც ქვეყანას, ამ ჩვენს მამულს მან ჩირქი მოსცხო,
ამაში ბრალი დაგედება შენც საუკუნოდ!!“

ღმერთსა და გარყვნილს, უცხო მოთრეულს ჩაუგდეთ სამოთხის ვარდი და აკი ცუდადაც დაგემართათ. რად გინდათ კვლავ მაგისთანავე საქმე ჩაიდინოთ, რომლის გამოც შვილნი და შვილიშვილნი თქვენს სახელს საყვედურითა კრულვით მოიხსენიებენო. საჭიროა, რომ

„მეფედ ის იყოს, ვისაც ძუძუ ქართვლის დედისა
უწოვია და თან შეზრდია ძლიერი გრძნობა
და სიყვარული მშობლიური სამშობლოსადმი!!!“

ლიპარიტი სიტყვას გადაუგრავს, რომ ძალიან გსურს თამარი უქმროდ დარჩესო. ეხლა-კა ხანგრძლივ ბრძოლას გიცხადებ, შეუპოვარს და ფარად გვარიშვილობას ვიხმარ, ჩემთა ძველთა დიდებასაო. რუსთაველი რჩება და თავისს თავს საყვედურს ეუბნება, რომ ღმერთს ჩემთვის რატომ არ მოუცია იმდენი ძალა, რომ საიდუმლოს მტკიცედ დაცვა შემძლოს და მტერმაც-კი რისთვის შეამჩნია ჩემი დაფარული გრძნობა, ჩემი გულის-თქმაო. ამ ლაპარაკში ეტყობა, რომ რუსთაველი თამარს გულგრილად არ უყურებს. ნათქვამს ყურს უგდებს მალხაზი და ეკითხება: მართალია რასაც ამბობენ, მართლა გიყვარს თამარიო? რუსთველი არა ჰფარავს, მიყვარს, ხელი ვარ მისთვისო:

„საზარლად გული იტანჯება ჩემი მის ახლოს,
თან გამოუცდელ, გამოუვლელ სიტკბოებას ვგრძნობ!
თვალს ვარიდებ მას, მეშინიან არ შეამჩნიოს
გულსა დუღილი, სულსა გზება, სახეს სიმკრთალე!“

მალხაზი ურჩევს, რომ წავიდეთ აქედგან მთებში, მოვშორდეთ აქაურობას, თორემ მტერი ბევრი გყავს და შენს ზიანს ძალიან ადვილად შეიძლებენო. რუსთაველი არა სთანხმდება, წიგნს უჩვენებს და უპასუხებს, რომ ეს არის ჩემი მეხვაშიადე, ეს დამიხსნის გაავთრებულ მხეცისაგან და ჩემს სიკვდილ შემდეგაც ეს ამცნებს ქვეყანას ჩემს ხვედრსაო. მარტო დარჩენილი მალხაზი ნაღვლიანად ჩაილაპარაკებს: მე, უბედური, ვერასოდეს ვეღირსები ამის სიყვარულსაო.

მეორე მოქმედება თამარის სასახლეს წარმოადგენს, დარბაზის ერთს ნაწილს. ზაქარია და იასონი ნარდს თამაშობენ და გივი დასცქერის. მეორე მხარეს ათაბაგი და ორთელიშილი ლაპარაკობენ. ამ ბაასიდგანა სჩანს, რომ ორთელიშვილს რუსთაველის წერილი ჩაუგდია ხელში. წერილში რუსთველი ვიღასაცა სწერს ოსეთში, რომ დავით სოსლანს აქეთ წამოსვლა დაუშალე, რადგან მაგის სიკვდილის გაგონება მირჩევნიან თამარის ქმრად გახდომასაო. ამ წერილით უქადიან რუსთაველს დაღუპვას. ფარდა აიხდება და თამარი სამეფო ტახტზედ ჰზის. დედოფალი აცხადებს, რომ ოსთა თავადმა დავით სოსლანმა ცოლად შერთვა გვთხოვა, ჩვენც დავთანხმდით და საქართველოს ყველა კუთხეს აცნობეთ ეს ამბავიო. ყველანი ულოცავენ და გადიან ლიპარიტს გარდა. ლიპარიტი, რომელსაც ერთი სურვილი უსრულდება და თამარი დავით სოსლანს უარს არ უთვლის, დედოფალთან რუსთაველზედ სჩივის: ერისთავნი და ათაბაგნი სადღაც მიგვაგდო; მონების გაყიდვის ნება აღარა გვაქვს; ჩვენს მოსისხლეს სისხლს ვეღარ მოვთხოვთ, რადაც სამსჯავროში უნდა ვიჩივლოთ; ჯარის მოწოდების უფლებაც ჩამოგვართვა და ღამის იარაღიც აგვყარა; ძველს წესს სულ ერთიანად შეცვლას უპირებსო და სხ. თამარი უწყრება, ნუღარ დაგვენახვები, ვიდრე თვით ჩვენ არ ვისურვოთ თქვენი ნახვა, რუსთაველს კი ვერ დავითხოვთო. ლიპა-

---

სწავლულები დიდს აღტაცებაში და გაკვირვებაში იყვნენ.

— ახალგაზრდა მეგობარო, თქვენ დიდი საუნჯე ჩაგიგდიათ ხელში, უთხრა პასტორმა. ეს არის საშუალ საუკუნეების უმაღლესი პოეზია. რობლე ბერი ღირსეულს ადგილს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში და უკეთესს მწერლებს დაუდგება გვერდზე.

ჩატერტონი სცდილობდა დამშვიდებული ყოფილიყო, მაგრამ გული-კი საშინლად უცემდა სიხარულით. აჰა, იმისი გულის ნატვრა და ფიქრი სისრულეში მოდიოდა. იგრძნო, რომ შრომამ ტყუილად არ ჩაუარა და ნაყოფი გამოიღო.

— მე მინდა დავბეჭდო რობლეს ლექსები, მაგრამ შეძლება არა მაქვს. ჯერ-ჯერობით რამდენსამე ლექსს დავბეჭდავ ჟურნალებში და შემდეგ-კი სრულიად გამოვცემ.

— ჩვენც დაგეხმარებით და მალე შეგასრულებინებთ მაგ სანაქებო განზრახვას, უთხრა პასტორმა: დროა გამოჩნდეს ლიტერატურაში ეს შესანიშნავი კაცი. თქვენ, როგორც მპოვნელი და გამომცემელი რობლეს ლექსებისა, დიდს სახელს მოიპოვებთ. შეუძლებელი ბრძანდებით და ჩვენი ვალია, დაგეხმაროთ. ახლა ამაზე მოვილაპარაკოთ.

ორივე მეგობარმა ზრდილობიანად შესთავაზეს ფული. ჩატერტონმაც უარი არა სთქვა და გამოართვა.

კარგა ღამე იყო გასული, როცა ჩატერტონი შინ წამოვიდა. იმედი მიეცა გულში და ამაყად ოცნებობდა.

მოვიდა შინ და პატარა სამუშაო ლამპარი აანთო.

— მაშ ესე, „რობლე“, ნაყოფი ჩემის ფანტაზიისა, ისეთივე ცნობილი და სახელ-განთქმული უნდა გახდეს, როგორიც მაკფერსონის „ოსსიანია“. ჯერ მხოლოდ 11 საათია და ერთი საათიც შეიძლება ვიმუშაო. ჯერ კიდევ ბევრი უნდა დავწერო, რომ ჩემი „რობლე“ «ოსსიანის» ტოლი გამოვიდეს. ოთახში მრავალი ძველი წიგნი ეყარა, ზოგი ფარლესაგან ნაჩუქები და ზოგიც სხვაგან ნაყიდ ნაშოვნი. იქვე იდგა ტყავის ხელთნაწერებით სავსე ყუთი, რომელიც მამისაგან დარჩენოდა, მაგრამ იმათში პოეტური არა მოიპოვებოდა-რა. თითონ ჩატერტონი ადგენდა ლექსებსა და რობლეს სახელს არქმევდა: უნდოდა ხალხი მოეტყუებინა და სარგებლობა რამ მიეღო.

ტყავზე ნაწერს ამოფხეკდა ხოლმე და თითონა სწერდა ძველის მონასტრულის ხელით. მელანიც საგანგებოდა ჰქონდა მომზადებული. ყველა ამას ხელოვნურად და ოსტატურად აკეთებდა.

ჩატერტონს დიდი და მაღალი პოეტის ნიჭი ჰქონდა, თავის წარმოებითაც შეეძლო სახელი გაეთქვა და უკვდავი გამხდარიყო ინგლისელების ლიტერატურაში, მაგრამ ერთხელვე ცრუ გზას დაადგა, ღირსება დაიმცირა და ეხლა გვიან-ღა იყო. ძველის ხიდის კურთხევის ამბავი თითონ ჩატერტონმა შესთხზა. ხელში არა ჰქონდა-რა, გარდა პატარა ისტორიულის შენიშვნისა. ტყავს განგებ შეჰლაწვა ნაპირები, რომ უფრო ადვილად გასვლოდა ტყუილი.

მთელი საათი ჰფიქრობდა ტომასი და მხოლოდ სამი სტრიქონი დასწერა. ადგა, გაიარ-გამოიარა, ზოგიერთი ადგილი შეასწორა და დაწვა. ლოგინში კიდევ ოცნებას მიეცა და დაიძინა.

. . . . . . . . . . . .

კატკოტისა და ბარრეტის შემწეობით ზოგიერთი ვითომ-და რობლეს ლექსი და მოთხრობა სხვა-და სხვა ჟურნალში დაიბეჭდა. მკითხველები დიდს ყურადღებას აქცევდნენ და აღტაცებაში მოდიოდნენ.

ბედმა უღალატა ჩატერტონს. ჯერ აქა-იქ დაიწყეს ხუმრობა რობლეს ლექსების სინამდვილის გამო, ბოლოს-კი ზოგიერთმა კრიტიკოსმა სთქვა, რომ ეგ ლექსები ყალბიაო. ავტორის ნიჭს მაინც დიდად აფასებდნენ. კატკოტმა და ბარრეტმაც შეუტყეს ჩატერტონს სიცრუე და განზე გაუდგნენ, მაგრამ მაინც-კი უკვირდათ იმისი ნიჭი და ხელოვნება.

ჩატერტონს მოსწყინდა ბრისტოლში ყოფნა. ფარლეს გაზეთის თანამშრომლობა ველარ აკმაყოფილებდა იმის გატაცებულს თავ-მოყვარეობას. ჰფიქრობდა ლონდონში წასულიყო, იქ ცოტაოდნად სახელიცა ჰქონდა განთქმული და მოედანიც უფრო ფართო იყო სამოღვაწეოდ.

1770 წელს, აპრილში, ჩატერტონი წავიდა ლონდონს. ძალიან დაიმედებული იყო, რომ გაიმარჯვებდა. თან სარეკომენდაციო წერილები წაიღო — ერთი ლორდ-მერ ბეკფორდთან და მეორე ვალპოლთან, რომელიც მცოდნე იყო საშუალ საუკუნეების ისტორიისა. ვალპოლს ლონდონის ახლო მშვენიერ ციხე-გალავნიანი სასახლე ჰქონდა გადაჭიმული. ლორდ-მერმა სიხარულით მიიღო ჩატერტონი, მაგრამ მალე მოკვდა და მფარველობა ველარ გაუწია. ვალპოლთან-კი ვერ მოთავსდა. რამდენიმე წერილი მისწერ-მოსწერეს ერთმანეთს და შემდეგ საუკუნო დავიწყებას მისცეს თავიანთი ნაცნობობა.

როდესაც ჩატერტონი ვალპოლის სასახლიდგან გამოვიდა, ჯიბეში მხოლოდ რამდენიმე შილინგი-ღა ჰქონდა. ჩატერტონი გაემართა ლონდონისკენ,

რიტი უყმაყოფილოდ მიდის და გზაზე შეხვედრილს ფერ-მკრთალს რუსთაველს ეუბნება: შენ გაიმარჯვე, მაგრამ ამით ბრძოლას არ გათავებო. შემდეგ თამარი და რუსთაველი ბაასობენ. რუსთაველი უცხადებს, რომ ეგ ყველასთვის ბედნიერი ამბავი თქვენის დაქორწინებისა ჩემთვის უბედურია; რაც მწადდა საქმენი, ვერ შევასრულე, სჯობს ქხლავე უკან ჩამოვდგე, მთებში წავიდე, გავშორდე აქაურობასაო. თამარი ვერ მიუხვდება დაფარულს გრძნობას და არწმუნებს, რომ ეს ქორწინება შენს საქმეს არ შეუშლის ხელს, შენის წყალობით შევიქენ დიდ მეფედ, საქართველო გაძლიერდა, დიდია შენი ღვაწლი, ზრუნვა, და წასვლის ნებას ვერ მოგცემ, განაგრძე სამსახური და ყოველს შენს ნარჩევს მე ჩემის უფლებით გავაკანონებო. აქ რუსთაველი გატაცებით დედოფლის ქება-დიდებას მოჰყვება, დარჩენას სთანხმდება: შენ შემოგწირავ ჩემს უკანასკნელს სისხლის წვეთს, შენით ვიცხოვრებ, ღმერთად გაგხდი, შენზედ ვილოცებო. გატაცებულს კილოზედ დაფარული გრძნობა ოდნავ გამოუმჟღავნდება, ამას წარბ-შეჭმუხნული დედოფალი შენიშნავს და მცირე სიჩუმის შემდეგ ნელის ხმით ეუბნება: ხვალ სათათბიროდ გთხოვ მობრძანდე შოთა რუსთველოო. ამითი თავდება მეორე მოქმედება.

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

მუხრანი (დუშეთის მაზრა). წარსულმა წელმა ჩვენც უპურ-ღვინოდ დაგვტოვა. სამაგიეროდ სიმინდი მოგვივიდა. ესეც რომ არ მოსულიყო, თქვენს მტერს, რაც ჩვენ დღე დაგვადგებოდა. მუხრანი უდიდესი სოფელია. მუხრან-ბატონებს გარდა, მკვიდრნი სულ გლეხობაა; ამათში ნახევარზედ მეტი სომხობაა. აქაური სომხები მხოლოდ სარწმუნოებით გაირჩევიან ქართველებისაგან.

სოფელი გაშენებულია ჭაობიანს ადგილზედ, რის გამოც მეტის-მეტად გავრცელებულია ზამთარ-ზაფხულ ციებცხელება და მრავალი სხვა სნეულება. თუმცა ჩვენის სოფლებისა და ქალაქების უსუფთაობას საერთოდ უჩივიან, მაგრამ ისეთი უსუფთაობა და მოწამლული ჰაერი, როგორიც მუხრანშია, ღმერთმა ნურა სოფელში ნუ ჰქნას. აქაური ვიწრო და ტალახიანი გზები ისე უხვევს სახლებს გარშემო, რომ მგზავრს გულს უხეთქავს. გლეხმა თუ როგორმე მოისურვა თავის სახლიდგან ნაგვისა, სასუქისა და სხვა ამ გვარის უწმინდურების მოშორება, უთუოდ უნდა, ჩვეულებისამებრ, გზაზე, სახლის წინვე დაჰყაროს, რომელსაც შემდეგში მგზავრის ფეხი გაშლის. თუ ამას ზედ დაუმატებთ რამდენსამე მწვანედ შენელებულ ტბასა და ჭაობს, მაშინ აღარავის უნდა გაუკვირდეს, რომ აქაურ გლეხებში მოხუცებული აღარავინ არის, გარდა ერთის ოსეფასი. ყველა ამას წელს ზედ დაემატა საქონლის ჭირიც, რომელიც ჯერ კიდევ არ მოსპობილა და რომელმაც დიდი ზარალი მოგვცა.

იანვრის 16 აქ მოვიდა ახლად მეხუთის ბოქაულად დანიშნული წინანდელი თიანეთის მაზრის ბოქაული ბ-ნი ე. გუგუშვილი, რომელმაც დიდი იმედები მოგვიტანა. მოსვლისათანავე შეუდგა სოფლის საჭიროების გამოკვლევას, დაიარა სოფელი და ბევრი უწესოებაც შეამჩნია, რის შემდეგაც ხალხს დარიგება მისცა და მაშინვე დაანიშვნინა სისუფთავის მეთვალყურენი (სანიტარები). გამოგვიცხადა ისიც, რომ მომავლის თვიდგან შევუდგეთ გზების კეთებას სოფელში და სოფელ გარეშეც რკინის გზის სადგურამდე.

ქურდობასა და ავაზაკობასაც დიდი ყურადღება მიაქცია ბ-ნმა ბოქაულმა, რისთვისაც მოწვეული ბანდებოდნენ აქაური ჩვენი უსაიმოვნო მეზობლები თათრები, მაგრამ ვერაფერი მასპინძელი დახვდათ. მედუქნეებმაც ხელი მოაწერეს, რომ კვირა-უქმით დუქნები დაკეტილი იქონიონ წირვის გამოსვლამდე. სკოლის მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებულ იქმნა. აგრეთვე აღგვითქვა ბ-ნმა გუგუშვილმა შუამავლობა მთავრობის წინაშე, რათა მუდმივი მკურნალი დაენიშნოს სოფელს. როდესაც საზოგადო საქმეებს მორჩა ბატონი ბოქაული, შეუდგა კერძო საქმეებისა და საჩივრების განხილვას და სისრულეში მოიყვანა რამდენიმე წინა წლებში უყურადღებოდ მიტოვებული საქმე: ბევრი, ძალიან ბევრი საქმე აღმოუჩნდა გასაკეთებლად და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი ე. გუგუშვილი დაიმსახურებს ისეთსავე დიდს სიყვარულს და ყურადღებას ხალხისასა და მთავრობისას, როგორიც დაიმსახურა თავისის სამსახურის დროს თიანეთის მაზრაში.

იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი მაზრის უფროსიც შეეწევა ღმოუჩენს ბ-ნს ცხეთის ბოქაულს, რომელსაც შეუძლიან მოგვაშოროს თავიდგან მრავალი გვარი უბედურება და განსაცდელი. წასვლის დროს დაგვპირდა ყოველ თვეში ორ-ჯერ-სამჯერ მოსვლას. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ დღემდის მოკლებულნი ვიყავით პოლიციის ზრუნვისა და თვალ-ყურის დევნას, რის გამოც არც არაფერი გვიკეთდებოდა და ძალა-უნებურად ყოველი საქმე სოფლის წესიერებისა და სიკეთისა მხოლოდ სოფლის მოხელეების ანაბრად იყო.

21 ამ თვეს აქ ნახევარ ადლის სიმაღლეზე თოვლი მოვიდა. შედარებით რომ ვსთქვათ, წრევანდელი ზამთარი ბევრად სჯობია შარშანდელს. მხოლოდ ხალხის ყოფა-ცხოვრება წელს უფრო გაჭირებულია.

მზრუნველი

---

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, რათა თქვენს პატივცემულს გაზეთს „ივერიაში“ მისცეთ, ამ მცირედს ჩემს მოხსენებას ადგილი.

მე მაქვს რამდენიმე ძველი ქართული ხელთ-ნაწერი სხვა-და-სხვა წიგნი, რომლისაც მსურველი ვარ შევწირო ქართულ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაცავს დიდის კმაყოფილებით.

აი სია ხელთ-ნაწერის წიგნებისა:

მოკლე ისტორია ქართველთ მეფეთ ბაგრატიონთ შთამომავლობისა.

სამოქალაქო დასაბამი სწავლისა.

განმარტება და წინადადება ღეომეტრიასა შინა ხმარებულთა.

შესავალი ღრამატიკისა.

მოთხრობა ხელთ-უქმნელის ხატისა იესო ქრისტესი.

უბის კალენდარი შინაურის წამლობისა და აპტიეკა.

სია და აღრიცხვა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა.

ორი ტომი კვინტოს კურციოზი, ისტორია ალექსანდრეს დიდის მაკედონელისა.

მოკლე ისტორია როსიის სახელმწიფოსი მოსწავლეთათვის.

ღეოღრაფია, შედგენილი დავით რექტორის ალექსიევ-მესხიევისაგან.

სტროციის მღვიმე, თარგმანი დავით ესტატის ძის ციციშვილისა.

რობინზონ კრუზო, თარგმანი რუსულისაგან იმავე დავით ციციშვილისა.

წამება წმინდის ქალწულის მარინასი, იმავე დავითისა.

წამება წმინდისა მოწამისა ევსტატესი. იგივე დავით სა.

სიტყვა წმინდისა ათანასი მთავარეპისკო. ალექსანდრიისასა.

წამება წმინდისა საქართველოს დედოფლისა ქეთევანისა.

წამება წმინდისა საქართველოს მეფის მეორის ლუარსაბისა.

განწესებანი მეფის ირაკლის მეორის ძეთაღმი საქართველოს მეფობისათვის.

წმინდა ზადიკი, მხედრული ასოთი ნაწერი.

ფსალმუნი დავითისი მხედრული ხელთ-ნაწერი.

ძველი საღმრთო წერილი, ხუცურის ასოთი ხელთ-ნაწერი.

სადღესასწაულო, იგივე მხედრული ხელთ-ნაწერი.

ამ სიით მოხსენებულს გარდა, კიდევ სხვაც ბევრი ხელთ-ნაწერი წიგნია, ძალიან ძველნი და ახალნიც, რომლის თითოეულად ჩემგან აღრიცხვა საძნელოდ იმით მიანს, რომ მეტად დაფურცლულია და მათი დაწყობა დიდს დროს ითხოვს. ამისათვის აქ მოკლეთ მოვიხსენებთ, რომ ვისდამიც განმიზრახავს გადაცემა, ისინი უფრო კარგად, წესიერად შეაწყობენ თავთავის დაგვარად.

უკეთუ ინებებენ ამ ზემოხსენებულს ჩემგან აღთქმულს ხელ-ნაწერს წიგნებს და იმათ საყურადღებოდ აღმოჩნდება, უმორჩილესად ვთხოვ, თქვენის პატივცემულის გაზეთით შეგვატყობინონ, ვისდამიც ჯერ არს, რომ გარდავცე დიდის კმაყოფილებით. რაც შეიძლებოდეს მალე გვაცნობონ, რომ მალე წარმოვადგინოთ.

იასონ დავითის ძე ციციშვილი

ს. ქარელი

---

## აღწერა წერა-კითხვის საზოგადოების ხელ-ნაწერთა.

№ 1251. ჟამნი ოხითა და იბაკონით, ხუცური ხელთ-ნაწერი, 18×11 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა ხუცურის ხელით, მელანი შავი და წითელია, მაგარი ხის ყდა აქვს შავ-ტყავ გადაკრული, არა სჩანს, თუ როდის არის გადაწერილი, მაგრამ პალეოგრაფიულის ხასიათით ის უნდა იყოს არა უადრეს XVIII საუკ. არავითარი წარწერა საყურადღებო ამ ხელ-ნაწერში არ მოიპოვება. დასაწყისი:

წ~ო ღ~ო მ~მაო ჩ~ო... ბოლო: რ~ არა ვეძიებ ნებასა ჩ~ა ა~დ ნებასა მომავლინებლისა მ~მისა ჩ~ძისასა.

№ 1252. ჟამნი თთვეთა მეტყველებით, ხუცური ხელ-ნაწერი, 16×11 სანტიმეტრი, დაწერილია სქელ ქაღალდზე წვრილის მოლამაზო ნუსხა ხუცურის ხელით, მელანი შავი და წითელია, პაგინაცია ჩვეულებრივი აქვს ხუცური ასომთავრულით. ხელ-ნაწერს თავი და ბოლო აკლია, თავში აკლია 18 ფურცელი, სულ დაცულია ეხლა 275 ფურცელი. ხელ-ნაწერი პალეოგრაფიულის ხასიათით უნდა ეკუთვნოდეს მე-XVIII საუკ. ხელ-ნაწერი უყდოა და გვერდები შემომწვარი აქვს.

№ 1253. აღდგომის წირვის წესი, დაწერილია ნახევარ თაბახიან ქაღალდზე შავისა და წითელის მელნით, ხელი ნუსხა ხუცურია არა უადროეს მე-XVIII საუკ. სულ ხელ-ნაწერი შეიცავს 8 ფურცელს. დასაწყისი: ჟამსა ცისკრისასა მიიღებს... ბოლო: რომლისა არს დიდებაჲ და სიმტკიცე უ~კი უ~კე ამინ.

№ 1254. მარხვანის და სადღესასწაულოს ნაწილები. ერთ-წიგნად, ხუცური ხელ-ნაწერი, 22×15,5 სანტიმეტრი. დაწერილია ქაღალდზე ლამაზის ნუსხა ხუცურის ხელით, მელანი შავი და წითელია, ხელ-ნაწერს თავი და ბოლო აკლია, ყდა არა აქვს, პაგინაცია ჩვეულებრივად მიუძღვის რვა ფურცლის შემდეგ ხუცურის ასოებით, ხელ-ნაწერი შეიცავს 205 ფურცელს. პალეოგრაფიულის ხასიათით ეს ხელ-ნაწერი ეკუთვნის მე-XVII—XVIII საუკ. დასაწყისი: ...აზისო ზ~ღჲ სიტკბოებისა შენ რ~ნი ერთ არსებით გიგალობთ... ბოლო: და მცნებანი შ~ნნი შევიყვარენ და იცნო ს~ლმან ჩემმ~ნ.

ერთ ადგილას ტექსტში პირდაპირ სწერია ტექსტისავე ხელით: ღ~ო შ~ე საბა დიაკონი.

№ 1255. ჟამნი და მარხვანი ერთ წიგნათ, ხუცური ხელ-ნაწერი, 20×15,5 სანტიმეტრი. დაწერილია ქაღალდზე მოლამაზო ნუსხა ხუცურის

---

რომლის კოშკები და პაულეს ეკკლესიის გუმბათი შორიდგანვე მოჩანდა ბურუსში.

ჩატერტონი ავიდა გორაკაზე, შეფიქრიანდა და გადახედა ლონდონს, სადაც არც ერთი მეგობარი და მახლობელი არ მოეპოვებოდა.

— მე დავწერ ლონდონის სურათებიანს ისტორიას. ხალხი თანაგრძნობით მიიღებს და დიდს ფულს ვიშოვი.

მოვიდა თავის ოთახში. შუაღამე გადასული იყო და ჩატერტონი-კი ისევ თავისს საქმეზე ჰფიქრობდა. გარდასწყვიტა ლონდონის ისტორიის დაწერა.

მეორე დღეს ქალაქში გავიდა და ძებნა დაუწყო მომავალის „ისტორიის“ გამომცემელს. უმთავრესს წიგნთ-გამომცემელთაგან დაიწყო, უბრალოებამდის მივიდა, მაგრამ ყველამ უარი უთხრა, ვერ დავბეჭდავთო. ყველას გაეგონა ჩატერტონის ქება, მაგრამ ამ ნაირს ძვირფასს გამოცემას ხელს არავინ ჰკიდებდა, რადგანაც ავტორი ძალიან ახალგაზდა იყო. ჩატერტონს კარგადა ჰქონდა შესწავლილი ლონდონის წარსული, კარგს ისტორიასაც დასწერდა, მაგრამ საქმე მაინც ჩაეშალა.

დამარცხებული ჩატერტონი უფრო ძლიერ დაღონდა, დაიღერიმა, გაგარეულდა და აღარავის ეკარებოდა. აქამდის ჟურნალ-გაზეთებში იღებდა მონაწილეობას და იმითი სჭამდა პურს, ეხლა-კი ესეც მოესპო, რადგანაც ყველა რედაქტორს წაეჩხუბა: ეჯავრებოდა, რომ იმის წერილებს ასწორებდნენ და ამოკლებდნენ. სახსარი აღარსაიდგანა ჰქონდა, მაგრამ სიღარიბე ვერ აშინებდა ჩატერტონს. ბოლოს იქამდის მივიდა, რომ ჯიბეში ცალი ფულიც აღარ ედო. სამი დღე ზედი-ზედ მშიერი იყო. შიმშილმა შეაწუხა, გააბოროტა და მთელი კაცობრიობა შეაძულა.

25 აგვისტოს 1770 წელს მშვენიერი მზიანი დღე გამოვიდა და საღამოც მშვენიერი დადგა. ჩატერტონი სახეირნოდ იყო და შინისაკენ მოდიოდა. ყველა მხიარულობდა, სიამოვნებდა საღამოს გამო, მაგრამ ისკი გაბრაზებული და ჯავრით მოკლული იყო. ეგონა, მთელი კაცობრიობა და ბუნებაც მე დამცინისო. შიმშილისაგან დასუსტებული იყო და სიკვდილის ფერი ედო. რამდენჯერმე დაიბარბაცა, როდესაც სახლის კიბეზედ შესდგა ფეხი. ამავე სახლში ჩატერტონის მეზობლად უბრალო ხელოსნები სცხოვრობდნენ: ხარაზი, თერძი და მკალავი.

თერძის ცოლი კიბეზე შეხვდა და უთხრა:

— ბატონო ჩატერტონ, ეგ რა ნაირი ფერი დაგდებიათ? სულ იმისბრალია, რომ ძალიან ბევრსა მუშაობთ და მეცადინეობთ. დღეს ჩვენი სტუმარი ბრძანდებოდეთ. დაბადების დღესასწაული გვაქვს.

ჩატერტონმა გაკვირვებით შეხედა და წყნარად წაიბუტბუტა:

— მადლობას მოგახსენებთ, არა მინდა-რა, დასვენების მეტი, მინდა მარტოკა ვიყო.

ყველა მეზობელს ეცოდებოდა სწავლული ახალგაზდა, რომელიც თავისთვის სცხოვრობდა და არავის აწუხებდა. ისინი მზად იყვნენ თავიანთი ლუკმა იმისთვისაც გაეზიარებინათ, მაგრამ ჩატერტონი ყურს არ უგდებდა იმათს თანაგრძნობას. იმ ნაირი კაცი იყო, რომ შიმშილით მოკვდებოდა და მოწყალებას-კი არავისგან მიიღებდა. ვერა სიღარიბე და გაჭირება ვერ დასძლევდა იმის ხასიათს და მხოლოდ სიკვდილს შეეძლო იმისი მოტეხა.

ჩატერტონი შევიდა თავის ოთახში და კარები ჩაიკეტა. ამოიღო ყუთიდგან ხელთ-ნაწერები და ნაკუწ-ნაკუწად აქცია. იმის აზრით, ეს-ღა იყო უკანასკნელი საქმე, რომელიც იმას საიქაოს უნდა გაეკეთებინა.

ღამის წყვდიადმა დედამიწა ჩამოაბნელა. ჩატერტონი თავის ერთადერთს სკამზედ იყო ჩამომჯდარი.

„საშინლად დავიღალე, საშინლადა მშიან, მაგრამ არც პური მაქვს და არც ფული. არა მყავს არც მტერი და არც მოყვარე. სისულელემ დამძლია გენიოსს აი ჩემი წერა, წერა პოეტებისა! არ დავიწყებ მათხოვრობას! არავის ნება არა აქვს სთქვას, რომ როდისმე და ვისთვისმე მეთხოვოს რამე! პური არა მაქვს, მაგრამ უკეთესი სხვა რამა მაქვს!“

ჯიბიდგან შეხვეული ქაღალდი ამოიღო და ნაკრულს ჭიქაში რაღაც თეთრი მტვერი ჩაყარა. ეს იყო საწამლავი, რომელიც დიდი ხანია თან დაჰქონდა.

„მოდი, მოდი, ჩამიბარე, ჩემო ერთად-ერთო მეგობარო სიკვდილო! კურთხეულ იყავ, წყვდიადო, ცივო სამარევ! შენში უნდა ჰპოვოს განსვენება ჩემმა მოქანცულმა ჭკუამ და დატანჯულმა გულმა! იყავ წყეულ, რაიცა სცხოვრობ და ჰხარობ დედამიწის ზურგზედ!“

ჩატერტონმა უშიშრად დალია საწამლავი.

რამდენსამე წუთს შემდეგ უგრძნობლად დაეცა იატაკზედ და სიკვდილს დაუწყო ბრძოლა.

ინგლისელები დიდად შეაწუხა ახალგაზდა გენიოსის დაკარგვამ.

ს. გძელიშვილი

ხელით, მელანი შავი და წითელია, ხელ-ნაწერს თავი და ბოლო აკლია, ფურცლები არეულია ერთმანეთში, ხის ყდა ეხლა დამტვრეულია და ტყავი შემოძრობილია. პაგინაცია არა აქვს. ერთ ადგილას ტექსტში სწერია ტექსტისავე ხელით:

ჰარაკლისი ახლად თარგმნილი ყ~დ წ~მისა ღვთის მშობლისათვის. „მოვედით თაყვანი ვსცეთ“ და სხვ...

№ 1256. ჟამნი თთვეთა მეტყველებით ერთ წიგნათ, ხუცური ხელ-ნაწერი, 22+18 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე მოლამაზო ნუსხა ხუცურის ხელით, მელანი შავი და წითელია, პაგინაცია არა აქვს, ხის ყდა ამ ხელ-ნაწერისა ეხლა დამტვრეულია, ტექსტის ფურცლები ზოგიერთ ადგილას არეულია. დასაწყისი: ი~ბკონი ღ~ისა ღ~ის მშობელისა, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების... ქ~ე ღ~ო გ~ი ა~ნ.

## დეპეშა

3 თებერვალი

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე იმპერატრიცისა და იმპერატორის გვარეულობის უმაღლეს წევრთა თანა დასწრებით დაქორწინდნენ ჰერცოგი მეკლენბურგ-სტრელიცკი და გასათხოვარი ქალი ნატალია ვანლიარსკისა, რომელსაც დიდმა ჰერცოგმა მეკლენბურგ-სტრელიცკისამ უბოძა ტიტული გრაფობისა.

თავმჯდომარეს ლუგის მომრიგებელ მოსამართლეების კრებისას გრაფს ტატიშჩევს გადაუწყვიტეს გადახდა ჯარიმად 1,100 მან. და დათხოვნა სამსახურიდამ. ხოლო უკეთუ ტატიშჩევი ფულად ჯარიმას ვერ გადაიხდის, ნახევარ წლით უნდა იქმნას დაპატიმრებული.

სამარყანდი. აქ მოვიდა ევროპიელთა ფაბრიკის პატრონთა ამხანაგობის აგენტი კონნესი. კონნეს აზრად აქვს გაჰმართოს აქ გამოფენა იმ ფაბრიკების მიერ ნაკეთის ნივთებისა, რათა ხელი მოუმართოს მყიდველებმა უშუამავლოდ შეიძინონ იმათი საქონელი. ჯერ-ჯერობით გამოფენილია: ჭურჭელი, ნელ-საცხებელნი, ფარჩეულობის ნიმუშები, ფეხსაცმელები და ღვინის ჭაშნიკები.

ბელგრადი. ექს-მეფე მილანი ამერიკას ეპირება წასვლას.

პარიჟი. დღეს სენატს ლაპარაკი ჰქონდა, რომ სასამართლოებს გადაეცეს ზოგიერთის დანაშაულის განხილვა მწერლობისაო. იუსტიციის მინისტრმა ტევენემ სთქვა, რომ არასოდეს მწერლობას იმისთანა დიდი თავისუფლება არა ჰქონია, როგორც დღესაო. აქაოდა თავისუფლება მწერლობისა საჭიროაო, ამ საბაბით არ შეიძლება ხელ-ფეხი შევუკრათ მთავრობასაო. კამათობა ამ საგნის შესახებ ხუთშაბათამდე იქმნა გადადებული.

სოფია. რუსეთის ქვეშევრდომი ნადინი განთავისუფლებულ იქმნა, რადგან საბუთები არ აღმოჩნდა, რომ იმასაც მონაწილეობა მიეღოს პანიცას საქმეში.

4 თებერვალი.

პეტერბურგი. „Гражд.“-ი იუწყება, რომ განზრახვა აქვთ თანასწორი უფლებანი მიანიჭონ უნივერსიტეტის პროფესორებსა და უმაღლესს სასწავლებლების მასწავლებლებსაო.

„Нов. Вр.“-ია ამბობს, რომ ხმა დადის, ვითომ მთავარი ჩერნოგორიისა თებერვალში მოვა პეტერბურგსაო. ცოტა ადრე მოვა აქ მისი მეუღლეც. უმაღლესნი სტუმარნი ცოტაოდენს ხანს დარჩებიან რუსეთშიო.

ვენა. მართალი არ არის ის ხმა, რომ ვითომ პრინცი ალექსანდრე ბატენბერგი ავსტრიის სამსახურში შევიდაო.

5 თებერვალი

პეტერბურგი. საზოგადო კრებამ პეტერბურგის ნაფიც-ვექილებისამ ერთხმად უარი ჰყო პროექტი ნაფიც-ვექილთა თანაშემწეების მოქმედების შეზღუდვისა და ამ საგნის წესსა და რიგში მოსაყვანად გადასწყვიტა: ავარჩიოთ ცალკე კომისიაო.

პარიჟი. გუშინ სენის დეპარტამენტში იყო არჩევანები ექვსის დეპუტატისა იმათ მაგიერ, რომელნიც პალატამ არ შეიწყნარა, რადგან ბულანჟეს მომხრე კანდიდატნი იყვნენ. მაინც ხუთი მათგანი ხელ-მეორედ აირჩიეს, მათ შორის, ლიორმა მიიღო 10,191 ხმა წინაალმდეგ 4953 ხმისა, რომელიც ერგო ლისაგარესა და ბელევალეს. მეორე ბულანჟელმა კანდიდატმა მიიღო 11 022 ხმა წინაალმდეგ 9,829 ხმისა, რომელიც ერგო გობლეს. ნაკე ხელ მეორედ კენჭ-საყრელი დარჩა. მან მიიღო 3840 ხმა წინაალმდეგ რადიკალ და ოპორტუნისტ კანდიდატებისა ბურნევილისა და დელომბრასი, რომელთაც მიიღეს: პირველმა—2575 ხმა და მეორემ 1761 ხმა. ამომრჩევლები უფრო ნაკლებად იყვნენ, ვიდრე უკანასკნელს არჩევანებზე. უწესოება არა იყო-რა.

პეტერბურგის ბირჟა, 1 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | „ | 7 32 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | $146^1/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 240 | — „ | — „ |
| —მეორისა | 229 | — „ | — „ |
| —მესამისა | — „ | — „ | $218^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ. 1890 წლის ზედნადებია—17.

თებერვალი 28 დღით არის

6 დღე სამშაბათი. ქართველ. ღირსისა მამისა ვუკოლე ზმინირელ ეპისკოპოზისა. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. დოროთესი. სომეხ. წმ. ლეონდ. ანცთა. მზე ამოდის 6—50, ჩადის 5—37. ჭეშმარიტი შუადღე 12—14 მთვარე 28 დღისაა.

7 დღე ოთხშაბათი. ქართველ ღირსისა მამისა პართენ ეპისკოპოსისა და ლუკა ელადელისა კათოლ. წმ. რომაულდასი და კლოტილდასი. სომეხ. მარხვაა. მზე ამოდის 6—19, ჩადის 5—38 მთვარე 29 დღისაა.

8 დღე ოთხშაბათი. ქართველ წმ. მოწამისა თეოდორე სტრატილატისა და წმ. წინასწარ მეტყველისა ზაქარია ნამგალმხილველისა. წმ. მამისა ჩვენისა შიო მღვიმელისა. კათოლ. წმ. ალმსაარ. იოანესი. სომეხ. წმ. ვარდანიანთ მხედრობათა. კავკასიის პირველი ნამესტნიკი თ. ციციანოვი და თ. ერისთავი მოჰკლეს ბაქოში, როდესაც მოართვეს ქალაქის გასაღები. მზე ამოდის 6—48 ჩადის 5—39. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. მთვარე 30 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


## განცხადებანი

ტფილისის საგალობო სკოლაში

## ისყიდება

ხეხილი, დასამშვენებელი ხეები და ბუჩქები ერთ წლიანებიდამ დაწყებული ოც წლიანებამდე.

(10—5)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



# ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ

## „КАВКАЗСКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“.

Содержаніе газеты: частныя объявленія и рекламы, которыя принимаются къ напечатанію на русскомъ, французскомъ, нѣмецкомъ, армянскомъ, грузинскомъ и татарскомъ языкахъ; свѣдѣнія, имѣющія справочный характеръ, какъ то: получаемыя въ Тифлисѣ телеграммы „Сѣвернаго Агентства“, биржевыя, промышленныя, торговыя и коммиссіонныя справки, полицейскій, думскій и судебный бюллетени съ извѣстіями о банкротствахъ и торговой несостоятельности, некрологи, списки недоставленныхъ телеграммъ, такса на продукты, календарь время отхода и прихода поѣздовъ з. ж дороги и пароходовъ на Черномъ и Каспійскомъ моряхъ, а также срочныхъ экипажей по военно-грузинской дорогѣ; врачи и врачебная помощь, театры, зрѣлища, увѣдомленія о засѣданіяхъ обществъ, актахъ, юбилейныхъ и другихъ торжествахъ и народныхъ праздникахъ, свѣдѣнія о полученныхъ грузахъ и товарахъ и т. под.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

**Городскимъ подписчикамъ:**

На годъ съ доставкой на домъ. 1р. 20к.
На полгода . . . . . — 80 „

**Иногороднымъ подписчикамъ:**

На годъ съ пересылкою. 1 р. 80 к.
На полгода „ . 1 р. —

Городскіе подписчики, получающіе какія—либо изданія, выходящія въ г. Тифлисѣ, **платятъ**, по предъявленіи ими квитанціи на подписку въ контору газеты **«Кавказскія Объявленія»** и въ отдѣлъ, лишь **60к въ годъ**.

Для прочтенія „Кавказскія Объявленія“ предлагаются публикѣ въ вагонахъ тифлисск. трамвая, въ подъѣзжающихъ къ Тифлису поѣздахъ закавк. ж дор. изъ Баку и Батума и срочныхъ экипажахъ по военно-грузинской дорогѣ. За помѣщеніе объявленій взимается по 4 коп со строки петита. Подписавшіеся же на газету „Кавказскія Объявленія“, при сдачѣ объявленій не менѣе 15 разъ, пользуются большою скидкою по соглашенію съ конторою. Траурныя объявленія лишь на первой страницѣ; **плата** за каждый разъ **по 2 рубля**.

Контора и редакція газеты „Кавказскія Объявленія“ помѣщаются на Гановской улицѣ, при конторѣ нотаріуса **А. Г. Мамиконова**, а отдѣленіе: на углу Головинскаго проспекта и Барятинской улицы, въ павильонѣ Хиддекеля.

Адресъ для телеграммъ: Тифлисъ, „Кавказскія Объявленія“.

(5—2) Редакторъ-издательница **Н. П. Слинко**


Доз. ценз. Тифлисъ 5-го Февраля, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаев а уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.